



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ქ. ბათუმი

„31“ 12 2017წ.

ბრძანება № 12/54

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებასთან
დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული პროგრამის - „მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა“ განხორციელების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესი, თანახმად №1 დანართისა.

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადების ტექსტი მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად №2 დანართისა.

გ) მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის სოციალური ვაუჩერის თანდართული ფორმა.

დ) მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის სოციალური ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად №3 დანართისა.

ე) მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების ჩამონათვალის ფორმა, თანახმად №4 დანართისა.

ვ) მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი, თანახმად №5 დანართისა.

2. შეიქმნას მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის მოსარგებლეთა შესარჩევი კომისია (შემდეგში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზურაბ თენიეშვილი (მინისტრის მოადგილე) - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ლელა სურმანიძე (სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი) - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მერაბ ხალვაში (სოციალური დაცვის დეპარტამენტის მთავარი პეციალისტი) - წევრი.

დ) ბექან იმხნელიძე (სოციალური დაცვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) - წევრი.

- ე) ანა მელაშვილი (იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) - წევრი;
ვ) ლამარა ტაკიძე (სოციალური დაცვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) - კომისიის მდივანი.

3. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვით:

- ა) ნინო გაბუნია (განვითარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის კავშირი "პროგრესი");
ბ) მაია ქათამაძეს (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი).

4. კომისიის სხდომებში საჭიროებისამებრ მონაწილეობის მიღება ეთხოვით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის, ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურისა და საჯარო და კერძო დაწესებულებების წარმომადგენლებს.

5. კომისიამ თავისი საქმიანობა განახორციელოს საჭიროებისამებრ სხდომების მეშვეობით. სხდომებს იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი; სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები. კომისია გადაწყვეტილებას ღებულობს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. კომისიამ უზრუნველყოს:

- ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში მოქალაქის ინფორმირება, იმის თაობაზე თუ რა საბუთი (საბუთები) აქვს წარმოსადგენი.
გ) დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სოციალური ვაუჩერის მომზადება და ხელმოსაწერად უფლებამოსილი პირისათვის წარდგენა.

7. კომისიამ თავისი საქმიანობა წარმართოს მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

8. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. მახარაძე).

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ერთი თვის ვადაში (მის.: ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №9) და შემდეგ, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 01 იანვრიდან.

მ ი ნ ი ს ტ რ ი



ნუნუარ სურმანიძე

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის

პროგრამის განხორციელების წესი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულია პროგრამა „მიუსაფარ
დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა“ (შემდგომში-პროგრამა).

პროგრამის კლასიფიკაციის კოდია - 0708;

პროგრამის ბიჯეტი შეადგენს 124,100 ლარს;

პროგრამას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო.

პროგრამის მიზანია მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების უზრუნველყოფა
თავშესაფრით. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება
სოციალური ვაუჩერის საშუალებით.

პროგრამა ითვალისწინებს მიუსაფარი დედებისა და ბავშვების დროებით 24 - საათიან
თავშესაფრით უზრუნველყოფას, ბენეფიციარების სადღეღამისო მომსახურებას სამჯერადი
კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი, ბავშვის კვების
პროდუქტებით მომარაგებას, მათ უზრუნველყოფას ტანისამოსითა და პირადი ჰიგიენის
ნივთებით, ბენეფიციართა ფსიქოლოგიური დახმარებას, პროფესიული და არაფორმალური
განათლების ხელშეწყობას, დასაქმებაში დახმარებას, სამედიცინო მომსახურების
უზრუნველყოფას, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, რისთვისაც გათვალისწინებულია 17
ლარი დღეში.

მომსახურების მიღება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის (შემდგომში-ვაუჩერი)
მეშვეობით. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრა არაუმეტეს 6 თვისა, ვაუჩერით
გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაძლებელია არაუმეტეს 2 ჯერ წელიწადში.

პროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების
მიღების უპირატესი უფლების დაცვით. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ
ღებულობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია.

პროგრამის ბენეფიციარები არიან მარტოხელა დედები რომელთაც ჰყავთ 10 წლამდე ასაკის
ერთი შვილი მაინც და/ან ორსული ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა).

მარტოხელა დედად ჩაითვალოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ზრდის
არარეგისტრირებული ქორწინებიდან დაბადებულ ბავშვებს, თუ დაბადების მოწმობაში არ არის

ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, ასევე შვილად აყვანილ ბავშვს, თუ დედა ბავშვის აყვანის მომენტში არ ყოფილა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.


ბენეფიციარების პროგრამაში ჩართვა განხორციელდება მოქალაქის მომართვის დროისათვის "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამაში" მისი ჩართვის შეუძლებლობის შემთხვევაში.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ:

1. მარტოხელა დედები რომელთაც ჰყავთ 10 წლამდე ასაკის ერთი შვილი მაინც და/ან ორსული ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა), რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 70 000- ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. ორსული ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა);
3. მარტოხელა დედები, რომელთაც ჰყავთ 2 და მეტი 10 წლამდე ასაკის ბავშვი;
4. მარტოხელა დედები, რომელთაც ჰყავთ 10 წლამდე ასაკის ბავშვი.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
- საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის სოციალური მუშაკის დასკვნა.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა საცხოვრებელი უზრუნველყოფა

სოციალური ვაუჩერი N---

ბენეფიციარის სახელი, გვარი -----

დაბადების წელი -----

პირადი ნომერი -----


მისამართი -----

ვაუჩერის გაცემის თარიღი -----

ვაუჩერის მოქმედების ვადა -----


პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა ----- ლარი.

გაცემა პირობებს და ვაუჩერი მივიღე უფასოდ:



ხელმოწერა: ბენეფიციარი

ან წარმომადგენელი -----



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა საცხოვრებელი უზრუნველყოფა

სოციალური ვაუჩერი N---

ბენეფიციარის სახელი, გვარი -----

დაბადების წელი -----


პირადი ნომერი -----

მისამართი -----

ვაუჩერის გაცემის თარიღი -----

ვაუჩერის მოქმედების ვადა -----

პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა ----- ლარი



აუცილებლად გაეცანით უკანა გვერდს!

დაწესებულება:



სამინისტროს უფლებამოსილი პირი

გ.ა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

გახსოვდეთ!

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ფლობენ სოციალურ ვაუჩერს. აღნიშნული ვაუჩერი გადაეცემა ბენეფიციარს, ან მის წარმომადგენელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

ვაუჩერის მფლობელს აქვს უფლება მიიღოს დახმარება პროგრამით გათვალისწინებული მოცულობით.

წაკითხეთ ყურადღებით!

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ მომსახურებას:

- 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფა;
 - კვების პროდუქტებით, სამოსითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა;
 - პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; დასაქმების სააგენტოში სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაციასა და აღრიცხვაში ხელშეწყობა;
 - საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების ორგანიზება; ფსიქოლოგიის მომსახურება
- პროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდება 100 %-ით,

გათვალისწინეთ!

ვაუჩერი ძალაშია მხოლოდ ვაუჩერით გათვალისწინებულ ვადამდე. ვაუჩერის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელს უფლება აქვს შესაბამისი განცხადებით მიმართოს სამინისტროს.

ცხელი ხაზი; ტელ: (0 422) 24-79-64

ფაქსი: (0 422) 24-79-02.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

გახსოვდეთ!

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ფლობენ სოციალურ ვაუჩერს. აღნიშნული ვაუჩერი გადაეცემა ბენეფიციარს, ან მის წარმომადგენელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

ვაუჩერის მფლობელს აქვს უფლება მიიღოს დახმარება პროგრამით გათვალისწინებული მოცულობით.

წაკითხეთ ყურადღებით!

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ მომსახურებას:

- 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფა;
 - კვების პროდუქტებით, სამოსითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა;
 - პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; დასაქმების სააგენტოში სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაციასა და აღრიცხვაში ხელშეწყობა;
 - საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების ორგანიზება; ფსიქოლოგიის მომსახურება
- პროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდება 100 %-ით,

გათვალისწინეთ!

ვაუჩერი ძალაშია მხოლოდ ვაუჩერით გათვალისწინებულ ვადამდე. ვაუჩერის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელს უფლება აქვს შესაბამისი განცხადებით მიმართოს სამინისტროს.

ცხელი ხაზი; ტელ: (0 422) 24-79-64

ფაქსი: (0 422) 24-79-02

**მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის სოციალური
ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი**

ბენეფიციარი ან ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით (პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია, საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის სოციალური მუშაკის დასკვნა, ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში) მიმართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში განმცხადებელს ეძლევა შესაბამისი განმარტება და ვადა საჭირო საბუთების წარმოსადგენად.

პროგრამის არაბენეფიციარებს წერილობით ეცნობება დახმარებაზე უარის შესახებ.

პროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა სოციალური ვაუჩერი.

მომსახურება დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული თანხით სრულად.

მომსახურება გაეწევა იმ ბენეფიციარებს, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ ვაუჩერს. ვაუჩერის ("ზ" ნაწილი) უნდა ინახებოდეს მიმწოდებელთან.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ქსეროასლი;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
- საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის სოციალური მუშაკის დასკვნა ბენეფიციარის სოციალური მდგომარეობის შესახებ.

წარმოდგენილ კორესპოდენციას განიხილავს შესაბამისი კომისია, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება მინისტრს ან მინისტრის მოადგილეს. დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ გაიცემა სოციალური ვაუჩერი.

ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრა არაუმეტეს 6 თვისა, ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაძლებელია არაუმეტეს 2-ჯერ წელიწადში.



მიწოდებული მომსახურების ჩამონათვალი №

" " ————— **முன்பு** —————
 " " ————— **பின்னர்** —————

აწარმოების პერიოდი 2015 წლის _____დან _____მდე
დაწესებულების დასახელება _____

ხელშეკრულების № _____

[illegible]

დაწესებულების ხელმძღვანელი: _____.

მთ. ბუღალტერი : -----



დამტკიცებულია ჯარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 31-12
ბრძანებით

აქტი ----- "----" ----- 2015 წელი

შესრულებული სამუშაოს ყოველთვიური მიღება - ჩაზარების აქტი
ანგარიშების პერიოდი 2015 წლის "----" -----დან "----" -----მდე

დაწესებულების დასახელება _____

ხელშეკრულების _____

	პროგრამის დასახელება	ანგარიშ ფაქტურის თარიღი და		მოთხოვნილი თანხა	ექვემდებარება შემცირებას			ექვემდებარება ფულადი სახსრებით ანაზღაურებას			სულ ასანაზღაურებელი თანხა
		3	4		6	7	8	პროგრამის მიხედვით მიმდინარე თვის შესრულებული სამუშაო	წინა თვეებში წარმოქმნილი დავალიანებაწინა		
1	2			5				9	10	11	
	მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა										

ასანაზღაურებელი თანხა სიტყვიერად

ჩავაზარე

მივიღე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

დაწესებულების ხელმძღვანელი:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

მთ. ბუღალტერი

ბ.ა.

ბ.ა.

**მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის
ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ (შემდგომში-შემსყიდველი) მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებაში მონაწილე დაწესებულებას (შემდგომში-მიმწოდებელი) ბენეფიციარებისათვის გაცემული სოციალური ვაუჩერის საფუძველზე მომსახურების ღირებულება აუნაზღაურდება წინამდებარე წესისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

სოციალური ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრება მომსახურების დაწყებიდან არაუმეტეს 6 თვისა. ერთი და იგივე ბენეფიციარზე ვაუჩერის გაცემა შესაძლებელია არაუმეტეს 2-ჯერ წელიწადში.

მიმწოდებლის მიერ ბენეფიციარისთვის მომსახურების გაწევა ხორციელდება შემსყიდველის მიერ გაცემული სოციალური ვაუჩერის საფუძველზე. ბენეფიციარის იდენტიფიცირება ხდება პირადობის ან/და დაბადების მოწმობით.

მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შემდეგი მომსახურება:

- ა) 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- ბ) უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფა;
- გ) კვების პროდუქტებით (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 სექტემბრის N258/6 ბრძანებით დამტკიცებული მოთხოვნების შესაბამისი სავარაუდო მენიუ), ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა;
- დ) პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;
- ე) დასაქმებაში ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოში ბენეფიციართა სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაციასა და აღრიცხვაში ხელშეწყობა;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზება;
- ზ) ფსიქოლოგიის მომსახურება.
- თ) ბენეფიციართა ყოველდღიური რეგისტრაციის ჟურნალის წარმოება, რომელიც უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი, აკინძული, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერით და ბეჭდით დადასტურებული.

მომსახურების შესახებ ინფორმაცია აისახება მიწოდებული მომსახურების ჩამონათვალში (N4 დანართის შესაბამისად), რომელიც დასაფინანსებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ყოველთვიურად. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი ვაუჩერით გასაზღვრულ ვადაზე ადრე დატოვებს თავშესაფარს ანაზღაურება

განხორციელება თავშესაფარში ფაქტიურად გატარებული დღეების მიხედვით.

მომსახურების მიწოდების ადგილს წარმოადგენს ქ. ბათუმი.

მიმწოდებელმა შემსყიდველს ანაზღაურებისათვის უნდა წარუდგინოს:

1. წერილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სახელზე სოციალური ვაუჩერით მიწოდებული მომსახურების ანაზღაურების შესახებ;
2. სოციალური ვაუჩერის ასლი;
3. სოციალური ვაუჩერის მფლობელის პირადობის ან/და დაბადების მოწმობის ასლი;
4. სოციალური ვაუჩერის მფლობელზე გაწეული მომსახურების კალკულაცია;
5. ინფორმაცია მომსახურების შესახებ;
6. შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულების მიღება-ჩაბარების აქტი.

სრულყოფილად წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე შემსყიდველი განხორციელებს ანგარიშსწორებას 14 კალენდრული დღის ვადაში.